

ისტორიის, ერის ეთნიკური, რელიგიური თუ კულტურული იდენტობის შესწავლაა, ეს იდენტობა კი სწორედ გარკვეულ ეპოქაში, გარკვეული წინაპირობებისა და გარემოებების ზემოქმედებით ყალიბდება.

მიუხედავად ზემოთ გამოთქმული შენიშვნებისა უდავოა, რომ ნინო დობორჯგინიძის ნაშრომი მნიშვნელოვანი შენაძენია ქართული კულტუროლოგიისთვის, რომელიც მართლაც არაა განებივრებული ასეთი სიახლის შემცველი და სიღრმისეული ნაშრომების სიმრავლით.

**ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი**

**გურამ კარტოზია, რუსუდან ვერსამია, მაია ლომია, თაია ცხადაია.**  
**„მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ თბ., „მერიდიანი“ 2010, 700 გვ.**

წინამდებარე 700-გვერდიანი მონოგრაფია, ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმეთი, სცილდება წმინდა გრამატიკის სფეროს და მოიცავს მეგრული ენის ფართო ლინგვისტურ ანალიზს. მასში მოცემულია მსჯელობა ზოგადთეორიულ თუ კონკრეტულ საკითხებზე და დაინტერესებული მკვლევარი იპოვის პასუხს ბევრ კითხვაზე. ნაშრომში ფორმალური აღწერის პრინციპებთან ერთად ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის აუცილებლობაცაა დანახული, გათვალისწინებული და კვლევის შედეგებში ასახული. ამ მიმართულებით სამომავლოდ საკვლევი საკითხებიც იკვეთება მონოგრაფიაში, რაც უთუოდ დიდ ღირსებას სძენს მას.

100 წლის წინ დაწერილი იოსებ ყიფშიძის ყავლგაუვალი მეგრული ენის გრამატიკის შემდეგ ახალი, თანამედროვე გამოწვევების დონის ნაშრომის შექმნაზე ფიქრი უთუოდ დიდი გაბედულება იყო. რაოდენ სასიამოვნო და საამაყოა, რომ ავტორებმა წარმატებით გაართვეს თავი ამ ჩანაფიქრს. მე აქ, უპირველეს ყოვლისა, ჩემი კოლეგისა და მეგობრის აწ განსვენებული გურამ კარტოზიას შემართებას, შეუვალობასა და პრინციპულობას ვხედავ და ამ თვისებების დანერგვის სურვილს სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწე ახალგაზრდებში. სიმბოლურად მესახება ისიც, რომ ბ-ნი გურამი სიძნელეებს შეეჭიდა თავის მოწაფეებთან – ახალგაზრდა მკვლევრებთან და არა უკვე დაღვინებულ და გამოცდილების მქონე კოლეგებთან ერთად. ეს სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის გაგრძელების ერთგვარი გზაცაა.

მასალა, რომლის გაანალიზების შედეგად დაიწერა ეს ნაშრომი, შეიძლება ითქვას, უნიკალურია არა მარტო იმიტომ, რომ საუკუნის წინ ჩაწერილი და გამოცემული ტექსტების გვერდით თანამედროვე მეტყველების ამსახველი საექსპედიციო ჩანაწერებიც არის გამოყენებული, რაც ენობრივი მონაცემების შედარების საშუალებას იძლევა, არამედ იმიტომაც, რომ მასალის ჩაწერისას მეგრული მეტყველების

არეალური სხვაობაა აღნუსხული და, შესაბამისად, დასკვნების გამოტანისას გათვალისწინებული. მუშაობის დაგეგმვის კიდევ ერთ სწორ მეთოდურ მიდგომაზე მინდა შევაჩერო ყურადღება: პროექტზე მომუშავე პერსონალი შერჩეულია მეგრულ მასალაზე სამეცნიერო მუშაობისა და მეგრული სამეცყველო კოდის ფლობის მიხედვით, რაც არის გარანტი იმისა, რომ მაქსიმალურად იქნება გამოვლენილი და გაანალიზებული მეგრული ენის დიალექტური სხვაობანი, თავისებურებანი ქართულთან მიმართებით და სხვა.

როგორც აღვნიშნე, ნაშრომი ფართო თვალსაწიერიდანაა დანახული. იგი შედგება ხუთი ნაწილისაგან: შესავალი, ფონეტიკა-ფონოლოგია, მორფოლოგია, სინტაქსი და ლექსიკოლოგია. შესავალში დასმული და გაანალიზებულია ზოგადთეორიული საკვანძო საკითხები – მეგრულისა და ლაზურის მიმართება, მეგრულის გავრცელების არეალი, შიდაენობრივი დიალექტური დაყოფა და მათი ურთიერთმიმართება, მეგრულის მეცნიერული შეწავლის მიმოხილვა.

მონოგრაფიის სხვა დანარჩენ ნაწილშიც მრავლად არის ახალი საკითხები და ახლებური ინტერპრეტაციები. ამგვარ ჩამონათვალზე, უპირველეს ყოვლისა, ნაშრომის მდიდარი სარჩევიც მიანიშნებს, თუმცა რამდენიმე საკვანძო საკითხზე მაინც მინდა შევჩერდე: პირველად არის გამოყოფილი ცალკე იოტიზაცია, როგორც მეგრული ენისთვის დამახასიათებელი სისტემური ფონეტიკური მოვლენა. აღსანიშნავია ლაბიოდენტალური [ვ]-სა და ბილაბიალური [უ] ალოფონების შედარების საფუძველზე გაკეთებული დასკვნა: „ძველ ქართულში C-V პოზიციაში ვ და უ გრაფემებით გადმოცემულ ბგერებს მეგრულში სხვადასხვა შესატყვისი აქვთ“ (გ. კარტოზია).

მორფოლოგია, საერთოდ, ძალზე დიდი დარგია გრამატიკისა და მეგრულში საკმაოდაც შესწავლილი, მაგრამ ამ ნაწილშიც მრავლად არის ცალკეულ საკითხთა ახლებური ხედვა. რაც შეეხება სინტაქსს, განსაკუთრებით ქვეწყობის საკითხებს, მეგრული მდიდარია სინტაქსური კონსტრუქციებით, რომელთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ვრცლადაა მოცემული მონოგრაფიაში. ლექსიკოლოგიის ნაწილში წარმოდგენილი სინონიმის, ფრაზეოლოგიზმების, ტაბუ-ეგზემის, ანთროპონიმის, ტოპონიმის, დარგობრივი ლექსიკის ანალიზი ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევებია.

**ოთარ ქაჯაია**

P.S. ეს ბოლოთქმა ბოლოსთვის შევინახე, რომ რეცენზიის სტრუქტურა არ დამერღვია. ამ მონოგრაფიის პირველი გვერდი გვამცნობს, კვლევა და, შესაბამისად, გამოცემა რუსთაველის ეროვნული სა-

მეცნიერო ფონდის, ანუ სახელმწიფოს, მიერაა დაფინანსებული. მოგეხსენებათ, ჩვენს წინაპარ მეცნიერებს (არა მარტო ჰუმანიტარული დარგისას), ჩვენს მასწავლებლებს კარგად ესმოდათ ცალკეული ქართველური ენების კვლევის როლი ქართული სალიტერატურო ენის მეცნიერული შესწავლის საქმეში. ცხადია, ჩვენი თაობის მეცნიერებმაც ვიცოდით, რა იყო ჩვენი „საჯილდაო ქვა“. მე ბევრის მომსწრე და მნახველი კაცი ვარ და მერწმუნეთ, მაშინ ამგვარი არჩევანის გაკეთება (მხედველობაში მაქვს უმწერლობო ქართველური ენების კვლევა) ადვილი არ გახლდათ. ჩვენ ლამის შეთქმულების დონეზე ვიკრიბებოდით ერთმანეთთან და ვმსჯელობდით. მე მახსენდება ერთი კონკრეტული შემთხვევა: 1967 წლის ივლისი იდგა. მაშინ ვმუშაობდი ცხინვალში, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაუსწრებელ განყოფილებაზე მქონდა ლექციები და პერიოდულად ჩამოვდიოდი თბილისში.

აპოლონ ცანავას ინიციატივით შევიკრიბეთ მე, ტოგო გუდავა და გურამ კარტოზია. აპოლონმა გადმოგვცა ილია ვეკუას ნათქვამი, მეგრულს უნდა მივხედოთო. ბ-ნი ილია მაშინ ნოვოსიბირსკიდან იყო ჩამოსული და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ. მას უთქვამს, თქვენ იმუშავეთ და მე ჩემს თავზე ავიღებ დაბეჭდვასო. ეს მაშინ დიდი გაბედულება გახლდათ. დავინაწილეთ სამუშაო: უნდა გამოსულიყო ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ორი ტომი: I და II – მეგრული პოეზია და პროზა (ზღაპრები), მეგრულ-ქართული ლექსიკონი და ლაზური ტექსტები. ამ შეკრებას მე ხუმრობით დავარქვი „მეგრელთა შეთქმულება“. დღეს ზემოხსენებული კოლეგებიდან მარტო მე დავრჩი. მაშინ დანაწილებული სამუშაო შესრულდა, ნაწილი ადრე, ნაწილი მოგვიანებით, მაგრამ მაინც შესრულდა. ვიმუშავეთ და იმაზე მეტი ვაკეთეთ, ვიდრე ვიტვირთეთ. მე დღეს მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერით კეთდება ამგვარი საშვილიშვილო საქმე.

რამდენიმე წლის წინ, ამ მონოგრაფიის ერთ-ერთ საანგარიშო სხდომაზე, რომელსაც ბ-ნი გურამიც ესწრებოდა, მე მას მივმართე: „ძმაო, „შეთქმულო“, გისურვებ ეს საქმე ღირსეულად დაგემთავრებინოს-მეთქი“. გურამმა პირობა პირნათლად შეასრულა. მე ორმაგად ბედნიერი ვიქნებოდი, ამ საზეიმო დღეს ბ-ნი გურამიც რომ ყოფილიყო ჩვენ გვერდით. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, ქართველოლოგიას კი უმრავლოს ახალგაზრდა მეცნიერთა ღირსეული ცვლა გურამ კარტოზიას მოწაფეების მსგავსად, რო-

მელთაც, ღვთისა და კაცის შეწევნით, გაემდიდრებინოთ ქართველოლოგიური ბიბლიოთეკა ევროპული დონის გამოცემებით.

\* \* \*

ავტორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ნაშრომი „**მეგრულის ლინგვისტური ანალიზი**“ ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია. ნაშრომის მეცნიერული ღირებულება განპირობებულია საანალიზო მასალის ნაირფეროვნებით, განხილული საკითხების სიმრავლით, კვლევის სიღრმით. ი. ყიფშიძის „მეგრული ენის გრამატიკის“ (1914) შემდეგ ეს პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა, რომელშიც ასეთი სისრულით არის წარმოდგენილი მთელი ის პრობლემატიკა, რომელიც ათეული წლებია დგას მეგრულის კვლევის სფეროში. პირველ ყოვლისა, ეს ეხება ტრადიციულ საკითხებს, როგორცაა: მეგრულის გავრცელების არეალი და დიალექტები, ფონემური შედგენილობა და ფონეტიკური მოვლენები, სახელისა და ზმნის მორფოლოგია, ფორმაცვლელი მეტყველების ნაწილები, სინტაქსური კონსტრუქციები. ნაშრომში პირველადაა წარმო დგენილი სპეციალური თავი მეგრული ლექსიკოლოგიის საკითხებზე.

პირველ ყოვლისა, მონოგრაფიის მნიშვნელობა ვლინდება ცნობილი ფაქტების ახლებურ ინტერპრეტაციებსა და სრულიად ახალი ფაქტების დადგენა-გააზრებაში; ესენია:

- მრავლობითი რიცხვის სახელურ ფუძეებში გაჩენილი —ლ— თანხმონის სახელდება ფონეტიკურ ჩანართად;
- სახელთა ბრუნების პარადიგმის გასწორების ტენდენციის ჩვენება თანამედროვე მეგრული მეტყველების მიხედვითა და ყველა არეალის გათვალისწინებით;
- იოტიზაციის, როგორც სისტემური ფონეტიკური მოვლენის, ანალიზი;
- მე-3 პირის „მუ“ ნაცვალსახელის ფუნქციის (უკუქცევითობის) განსაზღვრა;
- პირის ნიშნის ალომორფთა პოზიციური განაწილების საკითხი დიალექტთა მიხედვით;
- სომატური ფრაზეოლოგიზმების საკითხები.

განხილული მონოგრაფია მნიშვნელოვანია და ასევე იმსახურებს მაღალ შეფასებას სხვა თვალსაზრისითაც. ავტორთა მიერ განხორციელებული კომპლექსური კვლევის საშუალებით იქმნება შთაბეჭდილება არა მხოლოდ იმაზე, რაც უშუალოდ მათი ღრმა კვლევის საგანია, არამედ იკვეთება ის საკითხებიც, რომლებიც მოითხოვენ შემდგომ კვლევას ახლებური გააზრებისა და გადაწყვეტისთვის. შეიძ-

ლება დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი:

- მახვილისა და ინტონაციის,
- მყოფად უსრულის,
- ზმნისწინების
- ინტერფერენციისა და სხვა საკითხები.

განსაკუთრებით საშური და საინტერესოა ინტერფერენციის საკითხების კვლევა მეგრულში, რადგან სამეგრელოს სხვადასხვა არეალისა და მეგრულ-ქართული მეტყველებათა შერევა იძლევა უხვ მასალას ამგვარი კვლევისთვის.

იზაბელა ქობალავა

**ლეო კვაჭაძე. თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. „ცოტნე“ თბ., 2010, 544 გვ. რედაქტორი პროფ. მ. სუხიშვილი.**

2010 წლის დამლევს საქართველოს უმაღლეს სასწავლებელთა ჰუმანიტარული განხრის სტუდენტმა ახალგაზრდობამ მიიღო ყველაზე დიდტანიანი სახელმძღვანელო (იგულისხმება წიგნის დიდი ზომის ფორმატიც და გვერდობრივი მოცულობაც – 540 გვ.), რაც კი აქამდე არსებულ ქართულ ენაზე სინტაქსის დარგში. სახელმძღვანელოს ავტორი – აწ განსვენებული პროფესორი ლეო კვაჭაძე – საგანგებო რეკომენდაციებს არ საჭიროებს. მან მთელი (საბედნიეროდ, დღევრძელი) სიცოცხლე ქართული ენის გრამატიკის ამ რთული და საინტერესო დარგის სახელმძღვანელოს შექმნა-შეესებას შეაღია და დროის ვერტიკალზე საუკუნოვანი ნიშნული ამ შთამაგონებელი მოცულობის ტომით აღბეჭდა.

[ისტორიისათვის: სინტაქსის სახელმძღვანელო ლეო კვაჭაძისა პირველად ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (1956 წ.) გამოვიდა (ორიოდ წელიწადში მას მოჰყვა რამდენადმე გადამუშავებული გამოცემა). წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ეს სახელმძღვანელო განკუთვნილი იყო პედაგოგიურ სასწავლებელთათვის და მომზადდა ამ სასწავლებელთა ქართული ენის პროგრამის მიხედვით (ეს პროგრამა კი დამტკიცებული იყო ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ).

ავტორის წინასიტყვაობა გვამცნობს იმასაც, რომ სახელმძღვანელო „დიდ ნაწილში შეიცავს პროფ. ა. შანიძის სასკოლო გრამატიკის (II ნაწ., სინტაქსი, 1948 წ.) უფრო ვრცლად და სრულად გადმოცემას“ და რომ მხოლოდ „საკითხების ერთი ნაწილია შიგ სრულიად ახალი“. მაშასადამე, თვით ავტორისავე ცნობით, ეს სახელმძღვანელო სრულიად დამოუკიდებელი, გავლენისაგან მთლად თავისუფალი არ არის. შემთხვევითი არც ის უნდა იყოს, რომ ათწლეულების განმავლობაში